**ვესაუბრებით ამომრჩევლებს**

# 100 წლის წინ დამოუკიდებელ საქართველოში საფუძველი ჩაეყარა პირველ საყოველთაო დემოკრატიულ არჩევნებს

## საარჩევნო ადმინისტრაცია ვითარდება და სხვადასხვა სერვისს გთავაზობთ

### ტექნოლოგიური სერვისები

უზრუნველვყოფთ ამომრჩეველთა სიაში თქვენი და ოჯახის წევრების გადამოწმების შესაძლებლობას თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

საარჩევნო პროცესის გაუმჯობესების მიზნით ხელს ვუწყობთ ინოვაციური საარჩევნო ტექნოლოგიების დანერგვას.

### საინფორმაციო/საგანმანათლებლო პროგრამები

ვახორციელებთ საარჩევნო საგანმანათლებლო პროგრამებს.

### ინკლუზიური საარჩევნო გარემო

თანაბარი პირობების შესაქმნელად ხელს ვუწყობთ ინკლუზიური და ყველასთვის ხელმისაწვდომი საარჩევნო გარემოს განვითარებას.

**#ვმუშაობთშენთვის**

100 წელი

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან

# 2018 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები გაიმართება

- საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეებს შესაძლებლობა გაქვთ მიიღოთ მონაწილეობა საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში.
- თქვენ 6 წლის ვადით ირჩევთ საქართველოს პრეზიდენტს.
- არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად:
  - ✓ თქვენ უნდა იმყოფებოდეთ საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე ან უნდა იყოთ რეგისტრირებული საზღვარგარეთ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
  - ✓ თუ არ ხართ საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე და არ გაქვთ რეგისტრაცია საზღვარგარეთ, 2018 წლის 7 ოქტომბრის ჩათვლით უნდა გაიაროთ რეგისტრაცია შესაბამის სახელმწიფოში შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიაში, საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ან საკონსულო დაწესებულებაში (საკონსულო აღრიცხვაზე დადგომა არ ითვალისწინებს მოსაკრებლის გადახდას);
  - ✓ საარჩევნო უბანზე მისვლისას თან უნდა იქონიოთ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი.
- თქვენი საარჩევნო უფლებების და არჩევნების შესახებ ნებისმიერ საკითხზე დაგვიკავშირდით:

WWW.CESKO.GE

+995 32 2 51 00 51

ონლაინ ჩათი

უფროახლოს

ცესკო — საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი